№ 134. 28 ივნისი, კვირა. 1866—1881 28 ივნისი, კვირა. № 134.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზედ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან ხიდთან. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში | 6 თვეს | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| დროება და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ. [illegible] მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ. [illegible] ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

პეტრე-პავლობის დღესასწაულის გამო შემდეგი №-რი გამოვა ოთხშაბათს, 1-ს ივლისს.

---

არწრუნის თეატრში
დღეს, 28 ივნისს
**ბენეფისი**
თეატრის კასსირის
## ე. ფირალოვისა
ქართული დრამატიული ტრუპპისაგან წარმოდგენილი იქმნება:

**I**
**სიყვარული მკურნალობს**
კომედია 3 მოქმედ. თხზ. მოლიერისა.

**II**
**სხვა რიგი სიყვარული**
ვოდევილი 1 მოქმედებად თხზ. თ. ი. ბარათაშვილისა.

**III**
**დივერტისმენტი**

**ბაბუნია** იმღერებს „წიწერნაკს“ სომხურს ენაზედ; მოხევე იცეკვებს ჩაჩნურს.

ბილეთები ისყიდება არწრუნის თეატრის კასსაში და „ივერიის“ თამბაქოს მაღაზიაში.

**დასაწყისი 8½ საათზე.**

# ტელეგრამმები

(„ჩრდილოეთის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**პეტერბურღი**, 26 ივნისს. სკალკოვსკი დაინიშნა შინაგან სამინისტროს მეურნეობის დეპარტამენტის ვიცე-დირექტორად; გოლიკოვი მინისტრის კანცელიარიის გამგებლად.

ბოლოსში დაბეჭდილია, რომ როსტოვ-ვლადიკავკაზის რკინის გზაზე ვაგონების შეტაკების დროს ექვსი ვაგონი ნაკუწ-ნაკუწად ქცეულა, ცხრა კაცი მომკვდარა, თოთხმეტი მძიმედ დაჭრილა და ბევრი მსუბუქად.

**კრონშტატი**, 25 ივნისს. ინგლისის გემების ზღვის აფიცრებს გაუმართეს სადილი, რომელზედაც დასწრნენ: ედინბურღის პრინცი და დ. მ. ალექსი ალექსანდრეს-ძე და 141 დაპატიჟებული პირები. სიტყვა არავის წარმოუთქვამს, დალიეს მხოლოთ სადღეგრძელოები ინგლისის კოროლევის ვიქტორიისა, რუსეთის იმპერატორისა, ინგლისის და რუსეთის ფლოტებისა და სხვ.

**ალექსანდრია**, 25 ივნისს. აჯანყებულ არაბების ბელადმა ბუ-ამეკამ წინადადება მისცა მაროკის სულთანს, რომ, რადგან ის ჩრდილოეთ აფრიკის ყალიფად არის ამორჩეული, ამის გამო იკისროს აჯანყებულ აფრიკის ხალხის წინამძღოლობა.

**პარიჟი**, 25 ივნისს. ამბობენ, რომ, ალბერ გრევის მაგივრად, ალჟირის გუბერნატორად ლეონ რენო იქნება დანიშნული.

**ბერლინი**, 25 ივნისს. გერმანიის ელჩად სტამბოლში გრაფ გატცფელდის მაგივრად, ფონრადოვიცი ინიშნება.

## ჩვენი ბრალია.

თვით გამოცდილებამ და ნამდვილმა ფაქტებმა ყველას ცხადათ დაანახა და დაუმტკიცა, რომ ჩვენს სამსაჯულო წყობილებაში ერთი დიდი ნაკლულევანება არსებობს; რომ უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ჩვენში მომრიგებელი მოსამართლე თავის აუცილებელ არსებით მოვალეობას შესაფერად ვერ ასრულებს, არის ის გარემოება, რომ ჩვენის მხრის ყველა სამსაჯულო ადგილებში განდევნილია ხალხის ენა, და სამართალი სწარმოებს სრულებით ხალხის უცხო და გაუგებარს ენაზედ.

მსაჯული და ის ერი, რომელშიაც ის სამართლის გამჩენად და აღმასრულებელად არის დანიშნული, არასოდეს არ უნდა იყვნენ ენით გაყოფილნი და დაშორებულნი ერთი მეორეზედ; ჩვენში კი ესენი ისეთ ნაირად არიან დაშორებულნი და განცალკევებულნი, ისეთი დიდი და მაღალი ზღვარი სდევს ამ ორ წრეს შუა, რომ ერთს მეორისაკენ გადაბიჯება არ შეუძლიან, ერთს მეორის სიტყვის მოსმენა, ჰაზრის გაგება და დაფარება არ შეუძლიან.

მოგეხსენებათ, რომ ყველაზე პირველი და უმთავრესი არსებითი მოვალეობა მომრიგებელი მსაჯულებისა არის: მოდავენი, რომელნიც არიან მის წინ წამდგარნი, თანხმობით მოარიგოს; იმდენი რჩევა და დარიგება მისცეს, რომ ეს ორი პირი ერთიმეორის წინაალმდეგ მომზადებულნი, და ალმობიეროს, განუღვიძოს გრძნობა მიტევებისა და ერთი მეორის თავაზიანობისა და შერიგებით საქმის გათავებისა; მისცეს წინა დადება მორიგებისა ისეთი, რომ არც ერთი მხარე არ დარჩეს შეუსაბამოდ დაჩაგრული და სხვ.

აბა ერთი მიბრძანეთ, სად შეუძლიან ჩვენში მომრიგებელ მოსამართლეს, რაც უნდა გონიერი და ზედმიწევნით მცოდნე იყოს თავის თანამდებობისა, ამ თავის პირველი მოვალეობის აღსრულება, როდესაც მომჩივან-მოპასუხისა იმას არა ესმის-რა, და ამის შუამდგომლობის, დარიგებისა და რჩევისა იმათ არა გაეგებათ-რა?!

თორმეტი წელიწადი მეტია რაც ეს ახალი სასამართლო წესები შემოვიდა ჩვენში, და ეს ნაკლულევანება—ხალხის ჩვეულებისა და ენის უყურადღებოთ დაგდების მავნებლობა—რასაკვირველია, იმთავითვე დაეტყო. ყველამ დაინახა, რომ ჩვენი დედაენის სასამართლო ნაწილიდამ გამორიცხვამ ჩვენი ხალხის უმრავლესობა გახდა ზოგიერთი გაიძვერა ვითომ-ადვოკატების ჯიბის სარჩოთ; ყველა კარგათ ხედავდა, და დღესაც ხედავს ამას, ვისაც ერთხელ მაინც შეუბიჯია

---

«დროების» ფელეტონი, 28 ივნისს.

## ელგუჯა

(მოთხრობა *)

ბიორგის ბელადობით ჩუმათ და სიფთხილით მიდიოდნენ ჩვენი მგზავრები. სოფ. კობს, სადაც ყველაზედ მეტათ ეშინოდათ, გასცდნენ მშვიდობიანათ და გაუდგნენ გადასავალს მთებს. ისინი მიეშურებოდნენ მთიულეთის ქალებს, სადამდისაც უნდოდათ ღამე ჩაჰყოლოდათ, რადგანაც იმის იქით დაბურვილი ტყეები დაიწყებოდა, რომელშიაც თავის შეფარება შეიძლებოდა. ასე ჰფიქრობდნენ ჩვენი მგზავრები და ამისთვის წამ-და-უწუმ ცას შესცქეროდნენ, რომელზედაც ვარსკვლავებს დრო უნდა ეჩვენებინათ.

—ჩქარა ბიორგი, ჩქარა! ეუბნებოდა ელგუჯა თავის ბელადს. ცისკარა სულ გადაიხარა და ღამე კაიშაურშიაც ველარ ჩავყვებით.

— ღმერთი მოწყალეა, უპასუხებდა ბიორგი და გადუქნევდა მათრახს თავის ერთგულს ცხენს, რომელნიც მიაჩაფჩაფებდა იმ გვარის ძუნძულით, რომელსაც მთაში „მგლურს“ უწოდებენ. ამ გვარი სიარულიც გზას ძალიან ამოკლებს.

ალიონმა აიწია. დედა-მიწა განათდა. გამოჩნდა მშვენიერი ვაკე ქვეშის ალმართისა. აქ ბუნება სრულებით შეიცვალა მშვენიერის მდიდარის სურათებით. ველ-ბუჩქებიან მინდორს გარს შემორტყმოდა ტყიანი მთები, რომელიც აქა-იქ გეეჩეხათ მთიულებს, გეეკვეთათ სახნავებათ და სათაურში გეემართათ თავიანთი ციხე-დარბაზი.

სასიამოვნო, გამაცოცხლებელი ნიავი, რომელიც გაუწყვეტლივ დაჰქრის ამ ადგილებში, უგრილებდა შუბლს და უახლებდა, ულვიძებდა დაღალულს გონებას მოგზაურებს. წმინდა ანკარა წყაროები ჩამოჩუხჩუხებდნენ და რაღაცა სიტკბოებით უალერსებდნენ კაცს ყურს. ჩიტებსაც გეელვიძათ და ჭიკჭიკით ქებას ასხამდნენ ბუნების ძალას. ყველა ისე რიგად იყო მოწყობილი, რომ კაცს ანატრებდა აქ ჩამოხდომას მწვადის შეშიშხინებას და ცოტაოდენს თვალის მოტყუებას. იმ ადგილებს, ამ გვარი მოქმედება, არამც თუ მარტო ჩალხზედა—პირუტყვებზედაც კი ჰქონდათ, რომლებსაც იტყუებდა მსუქანი, ნოყიერი, მწვანე ბალახი, შემკული ათას ფეროვანის ყვავილებით და სურნელებით.

ელგუჯამ გახედა ამ სურათებს და გული აუძგერდა... იმან დანატრა იმ ბედნიერებს, რომელთაც თავისუფლათ შეეძლოთ ამ ადგილების მშვენიერებით დატკბობა.

ელგუჯა რომ ამ ფიქრში იყო და სრულებით გაეტაცნა ოცნებას, ბიორგიმ ერთბაშათ ცხენი შეაყენა.

— რაი ამბავია? ჰკითხა ელგუჯამ.

— აგერ, ქვეშის ალმართთან რაიმე ცხენიანები ამოჩნდნენ... მაი, აქ ბუჩქებში მივაბრუნოთ ცხენები, თორემ მეტათ განათდა.

— აგრე! მოკლეთ უპასუხა ელგუჯამ და დაუწყო იქითკენ ცქერა, საითაც ბიორგიმ ცხენიანებზედ უჩვენა.

ამათ გააბრუნეს ცხენები და შევიდნენ ბუჩქნარებში, რომლებიც იმათ საკმაოთ დაიცავდნენ კაცის თვალისაგან. იქ ჩამოხტნენ, გაშალეს ნაბადი, და ზედ დასვეს მზალეი. ბიორგიმ წაიყვანა ცხენები ცოტა მოშორებით, ჩაუკრა თავები და საძოვარზედ მიუშვა; თითონ თოფი მოიმარჯვა, ფალია გამოუცვალა და ისე უმზრუნველათ წამოწვა მხარ-თეძოზედ, თითქოს თავის სახლში იყო. ელგუჯა წყნარათ გაჟიდა გზის ნაპირათ და ისეთი სამზვერავი ადგილი დაიჭირა ბუჩქებში გზის პირათ, საიდგანაც თითონ უხილავს ყველაფერს ხედავდა, თვალ-ყურის დევნა შეეძლო.

ცხენოსნები, რიცხვით ოც-და-ხუთამდინ, თან და თან ახლოვდებოდნენ იმ ადგილას და მოელოდნენ ისეთის წყობილობით, თითქოს საომრათ გამზადებულიყვნენ. წინ მოუძღვებოდა ბელადი, მეორე ოთხ-ოთხი ჯარ-ჯარათ დაწყობილიყვნენ.

როდესაც მოახლოვდნენ იმ ადგილს, სადაც ცხენებით ელგუჯა თავის ამხანაგებით გადავიდნენ, უცნობი მგზავრების ბელადმა, ცხენი ერთბაშათ შეაყენა და დაუწყო მიწას ჩხრეკა. სხვები წამოეწივნენ და ჰკითხეს გაჩერების მიზეზი, მოწინავემ უპასუხა:

*) იხ. „დროება“ № 131.

ფეხი ზემო-ხსენებულ სამსაჯულოებში. მაგრამ, ამ ხნის განმავალობაში, ჩვენი საზოგადოებისაგან არც ერთი საშვალება არ გამოძებნილა, არც ერთი მეცადინეობა არ მიღებულა შესახებ იმისა, რომ ეს ნაკლულევანება, რომელიც ზარალის მეტს არა ვითარს სარგებლობას არ აძლევს არც მთავრობას და არც ხალხს, როგორმე გასწორებულიყო ვისგანაც ჯერარს. მართალია, ამ საგანზედ ითქვა რამოდენიმე სიტყვა ჩვენს მწერლობაში, მაგრამ რა გამოვიდა, თუკი საქმედ არიქცევა. ლიტერატურამ თესლი დასთესა ჩვენს ნიადაგზედ, ჩვენს საზოგადოებაში და თუ ჩვენი საზოგადოება არ ეცდება, რომ აღორძინდეს ის თესლი და გამოიღოს ნაყოფი, რა სახმარია? მკვდარია.

ვინ არის მოვალე რომ ამგვარ საზოგადო საჭირო საქმეზე იზრუნოს? ჩვენის ჰაზრით, ყველაზედ პირველად ჩვენი მოწინავე პირები, ჩვენი წინამძღომლები არიან ამის მოვალენი. ამათი აუცილებელი მოვალეობა არის, ყოველს ამ გვარ საზოგადო საჭიროებას და ნაკლულევანებას მიაღწევიონ უმაღლესის მთავრობის ყურადღის. ვალდებულნი არიან, როგორც ეს, ისე სხვა ჩვენი ქვეყნის საზოგადო საჭიროება, ლხინი და დარდი გააცნონ უმაღლესს მთავრობას. და მთელი ჩვენი ქვეყნის სახელითა და მინდობილობით იშუამდგომლონ, საცა რიგია, გასწორება და შემსუბუქება იმისა, რისაც გასწორება და შემსუბუქება შესაძლებელია.

დღეს მაინც გვიდევს წინ ისეთი მაგალითი, რომელიც საფუძვლიან იმედს გვაძლევს, რომ, თუკი თვალს გამოვახელთ და ჩვენი მოწინავე პირები ხმას ამოიღებენ, ჩვენი მეცადინეობა წინაშე მთავრობისა ფუჭად არ ჩაივლის. აი ის მაგალითი, რომელმაც ჩვენ კალამი აგვაღებია დღეს:

გაზეთებში არის დაბეჭდილი, რომ ბალტიის ზღვის ნაპირა მდებარე გუბერნიების მცხოვრებთ, სადაც ისეთივე სასამართლოს წყობილება შემოიღეს, როგორც ჩვენშია, უშუამდგომლებიათ უმაღლესის მთავრობის წინაშე, რომ მათს დედა ენის სრული უფლება ექნეს სამსაჯულოებში. ეს შუამდგომლობა სამართლის სამინისტროს საფუძვლიანად დაუნახავს, კიდეც მიუღია ყურადღებაში და მოუხდენია განკარგულება, რომ ბალტიის გუბერნიების სამსაჯულო ადგილებში ექნეს უფლება ხალხის ენას, და გადითარგმნოს სახალხო ენაზედ 1864 წლის „სასამართლო წესდება“, და ამ საგნისთვის საჭირო ფულები უკვე მოუთხოვია, გაზეთის **გოლოსის** სიტყვით, ზემოხსენებულ სამინისტროს.

ამის მეტს ამ საგანზედ ჩვენ ხომ არას ვთხოულობთ, და რათ უნდა ვიყოთ სასო-წარკვეთილი იმაზედ, რომ, თუ ჩვენი ქვეყნის მოწინავე პირები გულს-მოდგინეთ და ენერგიულად იშუამდგომლებენ, საცა რიგია, ჩვენი შუამდგომლობაც არ იქნეს ყურადღებაში მიღებული? რა არის ბალტიის გუბერნიის მცხოვრებლები და რა ვართ ჩვენ?! თუკი ერთს მიეცა მისთვის საჭირო უფლება, მეორემ რა დააშავა?

მაგრამ ყველაზე პირველ ჩვენს თავს უნდა უთხრათ საყვედური, ყველა ნაკლულევანების მიზეზი ჩვენი დაუდევრობა და უზრუნველობა არის. ნუ გვისვენია ხატად მარტო „მე“, დროა მთლათ არ დავივიწყოთ საუკეთესო დევიზი—„ჩვენ“.

ქაიხოსრო გელოვანი.

სოფ. ტოლა, 20 ივნისს.

## ახალი ამბები.

ჩვენს გაზეთში იყო ამასწინათ გამოცხადებული, რომ ზაქათალის მაზრის უფროსის პოლკოვნიკის სერაფიმოვიჩისა და ზემლემერის საკალცოვის მოკვლის თაობაზედ განსაკუთრებული სამხედრო სასამართლო იყო გაგზავნილი ზაქათალაში. გაზ. „კავკაზში“ იწერებიანა ახლა, რომ ამ სასამართლოს ივნისის 11 განუხილავს ეს საქმე მკვლელის ალექსანდრე ბალაჯოვისათვის და სიკვდილით დასჯა (დახვრეტა) გარდაუწყვეტია; მაგრამ ამასთანავე სასამართლოს მიუღია მხედველობაში მკვლელის დანაშაულობის შემამსუბუქებელი გარემოებანი და კავკასიის მხედართ-მთავარის წინაშე უშუამდგომლებია, ბრალდებულის, დახვრეტის მაგივრად, კატორგაში გაიგზავნოს თხუთმეტის წლის ვადით.

***

ოზურგეთის მაზრის სოფ. დვაბზუიდამ გვწერენ, რომ იქაური სასოფლო სკოლა, რომელშიაც სამოც ყმაწვილამდინ სწავლობდა, დაიკეტა და დაკეტის მიზეზად ჩვენს კორრესპონდენტს ის გარემოება მოჰყავს, რომ მცხოვრებლებში განხეთქილება, პარტიობა ჩამოვარდა.

***

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ქართულ დრამმატიულ საზოგადოების მმართველობას ამ ზაფხულის განმავალობაში დაუთხოვნია ქართული ტრუპპა, და შემოდგომაზე ახალის ტრუპპის შედგენას აპირებს.

***

დღეს, კვირას, არწრუნის თეატრში დანიშნულია უკანასკნელი წარმოდგენა თეატრის კასსირის ბ. ფირალოვის სასარგებლოდ. ითამაშებენ მოლიერის პიესას „**სიყვარული მკურნალობს**“ და ვოდევილს. იქნება აგრეთვე დივერტისმენტი, რომელშიაც, სხვათა შორის, ბ. [illegible] იმღერებს სომხურს ენაზედ „**წიწერნაკს**“ („მერცხალი“).

***

ჩვენ მივიღეთ დ. ახალ-სენაკიდამ შემდეგი შენიშნვა:

„დღეს ჩვენს **ახალ-სენაკში** ერთი წივილ-კივილი და ვაი-ვაგლახი იყო. მოგეხსენებათ, ის შავი ხალხი, რომელსაც ციგნებს უწოდებენ, მუდამ დაეხეტებიან; დღეს ამათ სენაკის მაზრაც ჩამოიარის. **როცა** გადავიდნენ **ოზურგეთის** მაზრაში, დაეწიენ მეგრელები, შესწამეს ექვსი ცხენის მოპარვა და იქაურ მაზრის უფროსთან წაიყვანეს. მაზრის უფროსმა ისინი წარმოგზავნა სენაკის მაზრაში, რადგან ეს ქურდობა იქ მოხდაო.

„აქ, რასაკვირველია, სუდმა საქმე შეაყენა და მაზრის უფროსს მოსწერა დატუსაღება მათი.

„უნდა გენახათ რა საცოდავება იყო, როცა ექვსი კაცი ციგნები მაზრის სასამართლოს სალდათებმა შუაში ჩაიყენეს და მიჰყავდათ სატუსაღოში. მათი ცოლ-შვილი, თმის გლეჯით, თავ-პირის მტრევით, გატიტვლებული, ბღავილით, ტირილით და წივილკივილით მისდევდნენ მათ და არ შორდებოდენ. საცოდავებს უწყალოთ სცემეს ყაზახ-რუსებმა.

„ამ ექვსის კაცის დატუსაღების შემდეგ დარჩნენ მხოლოთ ქალები და ბავშვები, რომლებიც საცოდავათ ჰყრიან.

„ეხლა ხმა არის, რომ ის საცოდავები თურმე ამ საქმეში სრულებით დამნაშავენი არ არიან. ცხენები მოპარული არ ყოფილა, არამედ ბანძაში თუ სხვა სოფელში, უყიდნიათ თუ სხვა ცხენებში გადაუცვლიათ...“

---

— ცხენების კვალია და არ ვიცი საით მოვიდოდა.

— აქ ცხენებს რაი უნდა! სთქვა უფრო ჭაღარა შერთულმა კაცმა, რომელიც უფროსობდა და რომელშიაც, ბრჭყიალა პავონებით, ბაგის იცნობდით.

იმანაც დააყენა ცხენი, გადმოიხარა გვერდზედ და წარბებ-შეჭმუხვნილმა, დაუწყო შინჯვა კვალს; გვერდით რამდენჯერმე აუარ-ჩამოუარა, მაგრამ ისე-კი რომ თავის ცხენისათვის უწინდელი კვალი არ წაეშლევინებინა.

— სამნი ყოფილან... ქალი აშკარაა... ცხენები დასაჭედები ყოფილან... ნაწყვეტ-ნაწყვეტათ წამოიძახებდა ისე, თითქო თავის თავს ელაპარაკებოდა. მართლათაც, თუ დააკვირდებოდით ახლად დანამულს მიწაზედ ადვილათ შეამჩნევდით უნალო ცხენების ნაფეხურს და ჩლიქების იმ გვარს ბეჭდებს, რომელსაც „ბაყაყს“ ეძახიან და რომელიც დედამიწას მხოლოთ მაშინ დეეტყობა, როდესაც ცხენი უნალოთ არის.

— ეს კაი კაცები არ უნდა იყვნენ! წამოიძახა ბოლოს თავის აღებით ბაგიმ.

— კაი კაცები რომ იყვნენ, გზას რად აგვიქცევდნენ?

— მანდეთ ბილიკი გზა ხომ არა მიდის-რა? მიუბრუნდა ბაგი მთიულს, რომელიც თან ახლდა.

— არა, შენი კვნესა-მე, არა... მანდეთ გზას რაი უნდა. სოფელი არსად არის და არა ცხო! იყო პასუხი.

— სოფლები როგორ არ არის, მაშ აის რეებია? ჰკითხა ბაგიმ და გაუშვირა ხელი მთისაკენ, სადაც აქა-იქ გვერდოებზედ მოჩანდა მთიულების სახლები.

— სოფლებია, შენი კვნესა-მე, მაგრამ გზა მაგაზედ არ არის... ეგეთი ხევი ჩამოუდის შუა, ღომისის მადლმა, რომ ფრინველიც ვერ გადაფრინდების.

— მაშ, ისინი ამ ქალაში უნდა იყვნენ?

— მა სად ეშმაკში წავიდოდნენ, რა ვიცი!.. ამ მთისაკენ ხევი არის, ექეთკენ ეგეთი კლდე, რომ კაცს გადახედვა შეზარდება.

ესენი ამ ლაპარაკში იყვნენ გართულნი, როდესაც ხევით დაღმართებიდგან ერთი ცხენოსანი გამოჩნდა, რომელიც ძალზედ მოაჭენებდა. ის აღარც დაღმართებს უყურებდა, აღარც ღორღებს და ხევებს, სადაც ცხენისაგან ერთი ბორძიკი საკმაო იყო, რომ მხედარი სულით ხორცამდე დაკარგულიყო. აშკარათ ეტყობოდა, რომ ის რაღაცა საჭირო საქმეზედ მოდიოდა. ეს მხედარი დაინახეს იქ მყოფმა ხალხმა და დაუწყეს ყურება.

ელგუჯამაც, რომელიც მღელვარებით უყურებდა იქ მოსულებს, შეჰკრა თვალი ახალს მხედარს და გულმა რაღაცა უსიამოვნობა იგრძნო.

— ეგ თუ იქნება, ჩვენი მდევარი უნდა იყოს!..

ელგუჯას ესმოდა ძალიან კარგათ, რომ, თუ ბაგიმ შეიტყო ქალის მოტაცება და იმათი აქ ყოფნა, მაშინ საქმე უსისხლოთ აღარ გათავდებოდა და ახირებული ბაგი არაფრისთვის არ მოითმენდა ამისთანა სირცხვილს და უპატიურობას, როგორც იმის სახლიდგან ქალის მოტაცება. ელგუჯა თავის თავისათვის არა სწუხდა, იმან იცოდა, რომ ღირსეულათ დაუხვდებოდა იმაზედ ძალის მომტანს, მაგრამ აქ, იმას გარდა, იყო ის, ვისიც ერთი ამოსუნთქვა ერჩივნა მთელს თავის სიცოცხლეს. აი ესა სტანჯავდა და გულს უთუთქავდა იმას. ამისთვისა ჰფიქრობდა ისე გამწარებული და ჭირის ოფლი გადასდიოდა, თორემ მარტო რომ ყოფილიყო, ბევრს ფიქრს არ გამოუდგებოდა და აქამდინაც გაიცნობდა თავის თოფის სიმარჯვესთან შარიანს მგზავრებს, რომელთაც თავი დაენებებინათ თავიანთ გზისათვის და გამოჰკიდებოდნენ ვიღაცა კაცების ცხენების კვალს.

ელგუჯას გული იმაზედ მოსდიოდა, რომ ბაგი შესდგა აქ და კვალს შინჯვა დაუწყო, მაშინ, როდესაც იმას გზა აუქციეს, დაუთმეს, მოერიდნენ და ამ შემთხვევაში-კი მთაში მოისხლე მტერიც ჩამოეხსნებოდა და აღარ გამოეკიდებოდა. სანამ ელგუჯა ამ ფიქრებში იყო, ცხენოსანი მოუახლოვდა ბაგის და იმის ამხანაგებს; ამათ კარგათ იცნეს ეს ცხენოსანი.

— რაი ამბავი, მარტიავ? შორითვე შესძახა ბაგიმ.

— რაიღა რაი ამბავი, ელგუჯამ ქალი გაგვტაცა! სახლი შეგვირცხვინა! თავი მოგვჭრა მთელს თემში...

— აჰუ!.. მაშ ელგუჯამ გაბედა? ელგუჯამა?!..

Дн.

## „დროების" კორრესპონდენცია

—

**სურამი**, თიბათვის 24-სა. ამ დღეებში მოუვიდა აქაურს პოლიციის პრისტავს მაზრის უფროსისაგან მოწერილობა შესახებ სურამის უჩასტკის სასოფლო მოხელეების დაცვლისა, მაგრამ იგი ჯერ არ შესდგომია ამ საქმეს.

ამ გვარმა მოწერილობამ სურამელი მცხოვრებლები ეხლავე ცდაში შეიყვანა, რომ მათ დაკვირვებით და სინიდისით ამოირჩიონ სასოფლო მოხელეებად ისეთი პირნი, რომლებსაც შეეძლოთ წმინდათ და სინიდისიანათ თავის თანამდებობის შესრულება, რომ ხალხიც მადლობელი დარჩეს და მთავრობაც.

მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენში იშვიათნი არიან ამ გვარი პირები, რომლებსაც ესმოდეთ თავიანთ თანამდებობის მოთხოვნილება და ღონის-ძიება მათის დასაკმაყოფილებლად. ამისთვის აქაურები განაწილებულნი არიან მამასახლისად ისევ აწ მყოფი, ესე იგი იაკობ აკოფოვი ამოირჩიონ მესამედ, რადგანც ეს არის გამოცდილი პირი.

თუ სურამი, რომელსამე დაუდევნელ და ჯიბის მოსამსახურე პირს ჩაუვარდა ხელში, აქაური სამიკიტნოები ყაჩაღებით გაივსებიან და ქურდობა და ცარცვა გახშირდება.

სურამს ერთი რიგიანი ქუჩა აქვს, რომელიც შეადგენს აქაური „მეზაფხულეების" და მცხოვრებლების სასეირნო ალაგს. დანარჩენი ქუჩები საშინელი ვიწრონი და ავდრის დროს გაუვალნი არიან მომეტებული ტალახის გამოთ. ამ გვარ ქუჩების და საზოგადოთ გზების გასაგანიერებლათ, მაზრის უფროსის განკარგულებით, იქმნენ აქ, როგორათაც სხვა სოფლებში, ამორჩეულნი სანიტარები, მაგრამ, სამწუხაროთ, მათ ვერაფერი ვერა გაარიგეს-რა, და ამის გამო ხალხი საშინელ გაჭირვებაში არის გზების და ქუჩების შევიწროებით ზოგიერთი მემამულეებისაგან.

საშინლათ გახშირდა ჩვენში გზების და ქუჩების ძალობით შეკვრა და ადგილების მითვისება. და თუ მთავრობამ საკუთარი ჩინოვნიკი არ დანიშნა გზების და ქუჩების თაობაზედ, სწორეთ, ზოგიერთი მემამულეები სულს ამოხდიან უგზოობით წვრიმალ ხალხს.

სურამს მის დღეში არ ღირსებია ფარნები, და ამ ბოლოს დროს აქაურის მამასახლისის მეცადინეობით გააკეთეს ქუჩებში, მაგრამ, სამწუხაროთ, მათმა ნთებამ დიდხანს არ გასტანა, რადგანაც ნავთის ფულის ხდა გაუძნელდათ სურამელებს, თითქო არ შეეძლიანთ წელიწადში სამოცი მანეთის გარდახდა!...

სურამში არის სომხის სკოლა, რომელიც არსებობს სომხის სასულიერო კონსისტორიის ხარჯზედ. თუმცა აქამომდე აქ ყმაწვილები გარყვნილობის მეტს ვერას იმატებდნენ, მაგრამ ახლა კი კარგი მასწავლებლები დაინიშნენ: ვაჟებისთვის ბ-ნი ეჯუბოვი, და პატარა ქალებისთვის მისი მეუღლე, რომლებმაც ამ შვიდი-რვა თვის განმავლობაშივე დაამჩნიეს მოსწავლე ყმაწვილებს ნაყოფი თავიანთ ერთგულის შრომისა სამასწავლებლო ასპარეზზედ. ყმაწვილი ვაჟები და ქალები მშვენივრად კითხულობენ ქართულს და რუსულს და ხსნიან წაკითხულს.

ნეტა ჩვენ, ქართველებს როდის გვეღირსება „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა" ანუ დირექციისაგან აქ სასოფლო სკოლის გახსნა?

რაიცა შეეხება სწავლის სურვილს და სკოლის გახსნისას, ეს სურვილი კარგა ხანია ჩვენში გაღვიძებულია და ვერ გაგვიხორციელებია უპატრონობისაგამო.

ამ დღეებში ქვიშხეთელს მღვდელს პიკნაძეს ეკკლესიაში მძიმეთ უცემნია თავისი მთავარი: სახე სულ ლურჯათ ქონდა ლილასავებ. მიზეზი ყოფილა მთავრის თხოვნა მასთან შემოსავლის განაწილებაზედ.

ჯაზიძე.

## წერილი რედაქტორთან

—

ბ. რედაქტორო! „დროების" მე-129 ნომერში დაბეჭდილია კორრესპონდენცია ქართლიდგან, რომელშიაც ბ. კორრესპონდენტმა, სხვათა ერისთავთა შორის, მოაქცია თავისი ყურადღება ჩემზედაც და დამწამა ვითომც მე, მემკვიდრე თ. გ. ერისთავისა, უსამართლოდ ვაწუხებდე სახელმწიფო გლეხებს ზაქარია და გრიგოლა ტლაშაძეებს და ძალტყუებით ვიჩემებდე მათ მამულს

თუმცა სირცხვილათ მიმაჩნია ამისთანა კორრესპონდენტის პასუხის-გება, რომელიც ამბობს თავის შესაფერ პაფოსით: „ჰხედამთ, სანამდინ მიდის სითამამე განსვენებულის გ. ე—ს მემკვიდრეებისა, რომ პალატასაც კი ატყუებენ და ტლაშაძეებს რას უზმენო!„ და ამტკიცებს, ვითომ პალატა იმითი მომეტყუებინოს, რომ ქაღალდი შემეტანოს ჩვენ და ტლაშაძეების მორიგებისა და პალატასაც მარტო ჩემი სიტყვით საქმე მოესპო. დახე, მკითხველო, რომ შტაბის სახლების გამყიდველისათვის აკი გადამიჭარბებია და მე, უბედურმა კი დღევანდლამდინ არ ვიცოდი. საწყალი პალატა!

თუმცა, ვიმეორებ, სირცხვილად მიმაჩნია ამისთანა მწერლების პასუხის მიცემა, მაგრამ არ შეიძლება არა ვთქვა ორი სიტყვა ამ საქმეზედ და არ დავანახვო ჭკუა-მახვილ კორრესპონდენტს, რომ კერძოდ ამ ჩემს საქმეში ძლიერზე და ულონოზედ ლაპარაკი სრულებით უადგილოა:

კორრესპონდენტი უნდა გარჯილიყო მართალი შეეტყო და ისე გამოლაშქრებულიყო ჩემზედ. დღევანდლამდის ზემოხსენებულ ტლაშაძეებს იმის მეტი საბუთი არა წარმოუდგენიათ-რა, რომ ამ საუკუნეში ამ სადაო მამულიდამ არ გვისარგებლია და არც ვფლობელობდით; ერისთავი ფლობელობდა და იგივე სარგებლობდაო. ალა-მაჰმად-ხანის დროს კი რა მომხდარა ატენის ხეობაში, სწორე მოგახსენოთ, ისტორიას არ დავკითხებივარ და არც, მგონი, ისე დაწვრილებით იყოს ჩვენი ისტორია გამორკვეული, რომ ბ. კორრესპონდენტს ზედმიწევნით ჰქონდეს შეტყობილი ამ საქმის გარემოება წარსულს საუკუნეში.

ბ. კორრესპონდენტი ამასაც ამბობს—გ. ერისთავის მემკვიდრეები თითონვე არიან დარწმუნებული, რომ მამული ეკუთვნის ტლაშაძეებსაო. ამაზე შემიძლიან ვსთქვა, რომ მე არც ერთ კორრესპონდენტისთვის არსად არას დროს არ გამომიცხადებია ჩემი გულის-პასუხი. მაგრამ ქართლელი კორრესპონდენტი ეტყობა გულთმისანი ყოფილა და, თუ ამ გვარივე გულთმისნობით იცის ისიც, რა მოხდა მას **ჟამსა შინა** ჩვენსა და ტლაშაძეების შუა, მაშინ ბოდიშს ვიხდი ბ. კორრესპონდენტთანაც და მომთმენ მკითხველთანაც, რომელმაც ამ ჩემის პასუხის ბოლომდინ ჩამოაწია.

ზაქარია გრიგოლის-ძე ერისთავი.

26 ივნისს.

---

— ელგუჯამ, მაშ უცხო ვინა?

— პაცები არ იყავით? ქალი როგორღა მოატაცებინეთ?.. თქვე ქალაჩუნა დიაცებო, თქვენა!.. ქუდის მაგივრათ ჩიქილა უნდა გეხუროსთ თავზედ... ფუი თქვენს ნამუს.

— ღამე გაიტაცა, ქურდულათა, თორემ ჩვენც კი მამას შვილები ვართ.

— მაშინათვე იფიქრა ზაგიმ, როგორც გამოცდილმა კაცმა, რომ ამ ცხენის კვალს უეჭველად რომელიმე დამოკიდებულება უნდა ჰქონოდა ელგუჯასთან, და მოიწადინა უეჭველათ პოვნა ამ ცხენების და იმათი პატრონების დაჭერა.

ელგუჯამ წმინდათ გაიგონა მარტიას და ზაგის ლაპარაკი და გაეშურა ზიორგისკენ, რათა შეეტყობინა, რომ იმათი დამალვა გამოაშკარავდა და გაგი დაჭერას უპირებს. ამხანაგებმა მაშინვე ცხენებს თავი ანებეს, დასტაცეს ქალს ხელი და გაიქცნენ სიმაგრის მოსანახათ, რომელიც აქ ახლო-მახლო უთუოთ უნდა ყოფილიყო. იმათ უნდოდათ ისეთი ადგილის პოვნა, სადაც ქალი უშიშრათ შეეფარებინათ და მერე...მერე გაეცნობინათ ეს ხალხი, თუ რა „შავ ბიჭებთან" აქვსთ საქმე და რა ადვილია ორი თავგადადებული მოხევის ხელში ჩაგდება.

როგორც ზევითა ვსთქვით, ეს მინდორი ერთის მხრით ისეთ ფიწალო კლდეს მიებჯინებოდა, საიდანაც ფრინველი თუ ამოფრინდებოდა, თორემ კაცის ამოსვლა ყოვლად შეუძლებელი იყო. მეორე მხარეს მოდიოდა დიდი ხევი. სწორეთ ამ კლდის თავზედ და ხევის აქეთ იმათ იპოვეს ისეთი ადგილი, როგორსაც ეძებდნენ. ამ კლდის რამდენიმე ნაბიჯს აქეთ, თითქოს გამგებ ამ შემთხვევისათვის სამართულიყო პატარა გორაკი, რომელიც თავს დაჰყურებდა და მბძანებლობდა იმ მინდორზე. ნაპირებზედ ამ გორაკის სათაურში კბილებსავით სალი კლდეები აშვერილიყვენ და შუაში შეედგინათ პატარა ჩაღრმავება, რომელზედაც თავისუფლათ ოცი, ოცდა-ათი კაცი დაეტეოდა. რაწამს დაინახეს ეს ადგილები, სიხარულით გაექანენ.

— ღმერთი ჩვენკენა, და ზიარგი! დაიძახა ელგუჯამ.

— ერთი ავიდეთ-ღა იქა მერე უჩვენებთ იმათ თამაშას! უპასუხა ზიარგიმ.

მზალევე, რომელიც აქამდისინ ფერმიხდილი და გაჩუმებული, რაღაცა მთრთოლარე მდგომარეობაში იყო, ამ უკანასკნელმა სიტყვებმა გამოიყვანეს სასო-წარკვეთილებიდგან და ხმა ამოაღებინეს!

— მაშ იქ რომ ავიდეთ, აღარა გვინდა-რა, შიში აღარა გვაქვს?

— ღმერთი მოწყალეა, მისცა პასუხი ელგუჯამ.

— რა უნდათ, რა ჩვენგან? ისეთის მწუხარებით წარმოსთქვა მზალევემ, რომ კაცს გული აუდუღდებოდა.

— რაი უნდათ? იკითხა ზიორგიმ.

— ის უნდათ, რომ თითო-თითოთ ძაღლებსავით ჩავხოცავთ აქა და ფრინველების საკორტნს მძოვრათ დაგყრით.

— მაშ ომი იქნება, უნდა დახოცოთ ერთმანერთი?.. ღმერთო, ღმერთო!.. მწუხარებით წარმოსთქვა ქალმა.

— ნუ გეშინიან, რომ ცხენებს იპოვნიან იმითიც დაკმაყოფილდება ზაგის გაუმაძღარი თვალები; თუ მაინც და მაინც არ დაიშალეს და აქაც გვეწვნენ, გეფიცები წმინდა ზიარგის ძვირათ დაუსვამთ თავიანთ გაუმაძღრობას!

— ეგეთ მცხარე დღეს დავაყენებთ, წვერის სპარს-ანგელოზის მადლმა, რომ თითონვე თავ-ბედს იწყევლიდნენ.

ამ ლაპარაკში იმათ მიაღწიეს გორის თავს, სადაც გამაგრდნენ იმდენათ, რამდენათაც შესაძლებელი იყო ორი კაცისაგან, მზალევეს უჩვენეს ისეთი ალაგი, სადაც ტყვია ვერ მისწვდებოდა და დაარიგეს, რომ იმ ადგილს არ მოსცილებოდა. ბოლოს გაშალეს ნაბდები, ზედ დაყარეს ტყვია, წალით სამსე მასრები და თოფებს საპირის-წამლე შეუცვალეს. ბოლოს, როცა ეს მზადება გაათავეს, ელგუჯამ წამოიძახა:

— ეხლა გვეწვივნენ ჩვენი სტუმრები!.. კაი სტუმრები არიან, მაგრამ, ხვთის მადლმა, ჩვენც კარგი მასპინძლები დაუხვდებით... არა, ზიარგი?

— ჰაი, ჰაი რომ დაუხვდებით, იყო პასუხი.

ა. მოჩხუბარიძე.

(გაგრძელება)

მე ალექსანდრე ე. ნათიევმა და აზნაურმა მიხეილ ი. ტატიევმა მოვიგონეთ და შევადგინეთ მაშინა ქირნახულის სალეწათ, რომელმანც, იმედი გვაქვს, კარგი სარგებლობა მოუტანოს მხვნელ-მთესველთა.

ამ ახალის მაშინით შეიძლება, ახლანდელს კალოზედ, ეხლანდელისვე კევრებით, ილეწებოდეს დღეში ორი კალო, ისეთი, რომელშიაც ჩაეშლებოდეს შვიდი საძნე ურემი ძნა.

მაშინას ამოქმედებს ერთი კაცი, უსაქონლოთ, უწყლოთ და უცეცხლოთ, ექვსის კევრებიდგან ათ კევრებამდენ. მხოლოდ მუშა კაცი უნდა იცვლებოდეს საათში ერთხელ. კევრებზედ კაცის დგომის მაგიერ იქნება დამაგრებულნი ქვები, ანუ ტომრებით მიწა.

მაშინის კალოსთან ახლო უნდა იყოს მეორე ცარიელი კალოცა, რომელზედაც გალეწილი უნდა გადაიტანებოდეს გასანიავებლათ, რომ მაშინას ჩაეშალოს სხვა და არ მოსცდეს ლეწვასა მეორე კალოსასა. მაშინიან კალოზედაც განიავდება, თუ კევრებს ცალ-მხარეზედ მიაწყობს და მაშინასაც მოაცდენს მუშაობისაგან. ბზე კარგათ მითელილი, დაფშვნეტილი გამოვა, არა ნაკლებ ეხლანდელი ლეწვისა.

ნალეწის ქცევისათვის, მეორე კალოზედ გადატანისათვის და განიავებისათვის, ეგრეთვე მეორეთ მაშინას ქვეშ კალოში ძნის ჩაშლისათვის, გარდა იმ ერთისა კაცისა, რომელიც მაშინას ამოქმედებს, მოუნდება მუშა კაცნი არა ნაკლებ ხუთის კაცისა.

დიდ მხვნელ-მთესველთ შეუძლიანთ რამტოლიმე მაშინა კალოებით იქონიონ; მხოლოდ პატარა სოფლების ხალხთ შეუძლიანთ ორი ანუ მეტი კალო მაშინით იქონიონ და იმათზე ლეწონ ყველამ წისქვილის ჯერივით. მაშინის გადატანაც შეიძლება სხვა კალოებზედ მცირედის შრომით.

მთვარიან ღამეშიაც შეიძლება ილეწებოდეს, ანუ მოხერხებულს სინათლეზედ, თუ ძნა გაფიცხებული იქნება, ეგრეთვე შეიძლება ავდარშიაც, თუ მაშინა კალოთი მომცრო და გადაფარებული ასახდელათაც ბრეზენტებით ექნებათ, ამ დროსაც რასაკვირველია ძნა გაფიცხებული უნდა იყოს, თუ ბურდოთ უნდა მაშინ კი შესაძლებელია ილეწოს გაუფიცხებელი ძნა.

მაშინა შეიძლება აქაურს დურგალს გააკეთებინონ, რკინეულობაც აქაურ მჭედელს, ჩვენგან მიცემულის პლანით, ან თუ გაკეთებულს ნახამს იქიდგანაც, შეიძლება გააკეთოს.

ვისაც სურს, რომ ჩვენ თითონ გაუკეთოთ მაშინა, დიდი უნდა თუ პატარა, მაშინ უნდა ფასში მორიგდნენ ჩვენთან, რომელთაც მიეცემათ დრო გაკეთებისა. წაიღებს ვადაზე ერთი ხარ-კამბეჩიანი ურმით გორიდგან.

მაშინის პლანები დაიბეჭდება ამ ცოტას ხანში და გაისყიდება, ბორში სულხან ღამბაროვის მაღაზიაში, თფილისის ქალაქში, „დროების“ გაზეთის რედაქციაში.

კავკასიის მხედრობაში შერიცხული,
მაიორი ალექსანდრე ნათიევი.

23 ივნისსა, 1881 წელსა:

---

# განცხადებანი

ჩაის მცოდნე პირმა და მსურველმა უნდა იყიდოს ჩაი, პირველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია ამლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტყვიოთ. (100—1)

---

ოთხშაბათს, 29 ივნისს
ალექსანდროვის ბაღში
იქნება მხატვრობითი და მუზიკალური

## საღამო

ცოცხალი სურათებით და სამხედროს რამდენიმე ხოროს და ზურნის მონაწილეობით.

**შესასვლელი ფასი 20 კაპ.**

სალდათები და ბავშვები იხდიან ნახევარს.

დაწვრილებით ცნობები იქმნება ცალკე პროგრამმით გამოცხადებული.

სეირნობა გაიხსნება საღამოს 5 საათზე.

შემოსავალი ბავშვების თავ-შესაფარი სადგომის (პრიუტის) ასაშენებლად არის დანიშნული, გარდაცვალებულის ხელმწიფის ალექსანდრე II სახელობაზედ.

---

**თბილისის სამოქალაქო გამგეობაში**, დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 1 საათამდის, მიიღება ხელისმოწერით შესაწირავი ბავშვების თავ-შესაფარი სადგომის (პრიუტის) ასაშენებლათ თბილისში **იმპერატორის ალექსანდრე II** სახელობაზედ. (3—2)

---

**Открыта полугодовая подписка на еженедѣльный журналъ**

**„ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРЕНІЕ“**

**(издаваемый въ гор. Тифлисѣ)**
**Съ 1 Іюля 1881 г. по 1 Января 1881 г.**
**Цѣна на полъ года 6 руб.**
КРОМѢ ТОГО МОЖНО ПОДПИСАТЬСЯ
на 3 мѣс.—3 р. 20 к., на 1 мѣс.—1 р. 20 к.
Подписка принимается съ 1 числа каждаго мѣсяца и не далѣе конца года.

Разсрочка во взносѣ денегъ допускается по соглашенію съ администраціею журнала.

Подписка принимается исключительно въ администраціи журнала, въ гор. Тифлисѣ, близь Головинскаго пр., по Безъименному пер., въ домѣ Тамамшева.

Издатель А. С. Френкель.
Редакторъ А. В. Степановъ
(3—1)

---

## ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა პიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად და ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შიოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ... (100—92)

---

**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** სააგენტო პარნსპის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ექსტრაქტისა კაკაო ფრაის რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხველების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. (100—75)

---

**მოსახურავი** 4 მანეთად, ნასოსები 1 მან., დასაკეცი სკამები 2 მან., სკაღიანი ჯოხი 4 მან., კრავატიანი კრესლო 10 მან. დაწყებული, [illegible] 4 მან. ქინძისთავების შესანახავი 30 კაპ., [illegible] ტალის ჩაის სტაქნები 30 კაპ. თითო, ინგლისური ვანნები და სხვ. **ინგლისის მაღაზიაში.**

10,000 რწყვილი ქალის წინდები 25 კაპ. დაწყებული 75 კაპ.-დისინ, 10,000 რწყვ. კაცის წინდები 35 კაპ. 1 მან.-დისინ, 7,000 პალნოსები 5 კაპ.—5 მან.-დისინ., 1,000 კრავატები 5—35 მან.-დისინ, 400 არშინი ბოფაზეი 1 მ.—1 მან. და 30 კაპ.-დისინ, 800 არშ. პარუსინა 40 კაპ.—1 მ.-დისინ, 300 რევოლვერი 4 მ.—35 მ.-დისინ, 200 ალბომი ნახევარ ფასად. 10,000 გირვანქა მშვენიერი ჩაი თავის ჩაინიკებით 1 მ.—65 კაპ., რკინის კალმები ყველა გვარ ხელისათვის. (15—10)

---

## ისყიდება ინგლისის მაღაზიაში

30%-ზე უფრო იაფად, ვიდრე სადმე სხვაგან: მურაბა, კაკაო, ბრინჯი, ჭურჭლეულობა, ბაკლები, ტაშტები, პირის დასაბანები, ჩაინიკები, სტაქნები, პალნოსები, კლიტეები, დანები, კოვზები, კალმები, ქაღალდი, კარანდაშები, რვეულები, თოფები, რევოლვერები, ალბომები, კრაოტები, ტანსაცმელი, ტრიკო, პარუსინა, ცხვირ-სახოცები, პირსახოცები, გლეონკა, კაცის და ქალის წინდები, უნაგრები, პორტვეინი, სერესი, კონიაკი და სხვ. ჩაი პარტიებით ვაჭრებს ფუთობით 44, 46, 48, 50, 52, 54 და სხვ..

იქვე იაფად: შერბეთი, მაგნეზია და წუწრვილისაგან ლეპიოშკები, ციებისაგან ქინაქინას ღვინო, კარბოლის პარაშოკი, საპონი და წამლები ეპიდემიისაგან დაცვისა, მედიკური ქაღალდი ფეხის-ალაგებისათვის, სპარსეთის პარაშოკი და სხვ. (15—11)

---

## ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის მზრუნველებისაგან

ალექსანდრესად წოდებულის სათავად-აზნაურო მოსამზადებელის სკოლის მზრუნველობა, დანიშნული **„ქართველთ შორის წიგნის-ცოდნის გამავრცელებლის საზოგადოებისაგან“**, აცხადებს ქუთაისის თავად-აზნაურობის საცნობლად, რომ წლიური სწავლა ხსენებულს სკოლაში დაიწყება მომავალს პირველს სეკტემბერს და ვისაც ამ სკოლაში ყმაწვილის მიბარება სურს, უნდა მიმართოს სკოლის ინსპექტორს ალექსი ბესარიონის-ძეს ჭიჭინაძეს, მცხოვრებს ქუთაისში ორპირის ქუჩაზედ, თავადის ანტონ ლორთქიფანიძის სახლში, საცა თვით სკოლა არის.

თხოვნა ყმაწვილების სკოლაში მისაღები, და ამასთანავე მეტრიკული ან მღვდლის მოწმობა ყმაწვილების დაბადებასა და მონათვლაზედ, უნდა მისცენ სკოლის ინსპექტორს ოცს აგვისტოდგან პირველს სეკტემბრამდის. ამავე დროს იქნება ყმაწვილების სკოლაში მისაღები ეკზამენებიც.

სკოლის პირველს განყოფილებაში მიიღებიან მეშვიდესა, ან მერვეს წელში მდგომი ყმაწვილები, რომელთაც წიგნი ჯერ სრულიად არ უსწავლიათ; მეორე განყოფილებაში მიიღებიან ცხრა წლისაზედ არა უხნესი ბავშები, რომელთაც უნდა იცოდნენ ქართული წერა-კითხვა და ყოველგვარი ანგარიში ათამდის და მეოთხე განყოფილებაში შემავალმა ყმაწვილმა, რომელიც თერთმეტის წლის უხნესი არ უნდა იყოს, უნდა იცოდეს ყველაფერი, რასაც გიმნაზიის მოსამზადებელის კლასსის უმცროს განყოფილებაში ასწავლიან.

პირველს განყოფილებაში არის თავისუფალი ორმოცი ყმაწვილის ადგილი, მეორეში ოთხმოცი ადგილი, რომლითაგან ორმოც-და-თუთხმეტი დაჭერილია და ოც-და-ხუთი თავისუფალი და მეოთხეში ორმოცის ადგილისაგან თავისუფალია მხოლოდ ორი,—სულ სამოც-და-შვიდი ყმაწვილის ვაკანსია არის.

მესამე განყოფილებაში კი დაჭერილებია ყველა ოთხმოცივე ადგილი და ამის გამო ამ განყოფილებაში წრეულს ბავშების მიღება არ მოხერხდება.

ამ სამოც-და-შვიდის თავისუფლის ვაკანსიიდგან ქუთაისის მაზრას ეკუთვნის თოთხმეტი, შორაპნისას ცამეტი, სენაკისას თვრამეტი, ზუგდიდისას ათი, რაჭისას რვა, ოზურგეთისას შვიდი და ლეჩხუმისას ოთხი. (3—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27 Іюня 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი